## 1. სამაგისტრო პროგრამის დასახელება

კლინიკური ნეიროფსიქოლოგია (Clinical Neuropsychology)

## 2. პროგრამის ხელმძღვანელი

**თამარ გაგოშიძე**, პროფესორი

## 3. სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები:

სამაგისტრო პროგრამაში შეიძლება მონაწილეობა მიიღონ პირებმა, ვისაც აქვს:

- ✓ ბაკალავრის ხარისხი ფსიქოლოგიაში, მედიცინაში, ბიოლოგიაში.

- ✓ კრედიტი შემდეგ კურსებში:
- ✓ კოგნიტური ფსიქოლოგია
- ✓ ნეიროფსიქოლოგია ან ბავშვის განვითარების დარღვევები
- ✓ სტატისტიკური მეთოდები.

- ✓ ინგლისური ენის ცოდნა B1 დონეზე.

სამაგისტრო პროგრამაში ჩასარიცხად აუცილებელია:

- საერთო სამაგისტრო გამოცდის ქულა;
- სამოტივაციო წერილი;
- წერითი გამოცდა ნეიროფსიქოლოგიაში.

## 4. საგამოცდო საკითხები

1. თავის ტვინში ფსიქიკური ფუნქციების ლოკალიზაციის მოდელები (ლოკალიზაციონიზმი, ანტილოკალიზაციონიზმი, დინამიკური ლოკალიზაცია)
2. თავის ტვინის ფუნქციონირების ა. ლურიას მოდელი (3 ბლოკი: მათი აგებულებისა და ფუნქციონირების პრინციპები, მათი წვლილი ფსიქიკურ პროცესებში)
3. თავის ტვინის ფუნქციური ასიმეტრია (ანატომიური, ფიზიოლოგიური, ფუნქციური განსხვავებები; დომინანტობის ცნება, ფუნქციური ასიმეტრიის პარამეტრები და პარციალურობა,)
4. თავის ტვინის ფუნქციური ასიმეტრიაზე მოქმედი ფაქტორები, ფუნქციური ასიმეტრიისა და ცაციობის ამხსნელი მოდელები
5. ფსიქიკური ფუნქციების დარღვევის სინდრომოლოგიური ანალიზი და ნეიროფსიქოლოგიური ფაქტორები (სინდრომოლოგიური ანალიზის პრინციპები, ნეიროფსიქოლოგიური ფაქტორის განმარტება და ფაქტორების ტიპები და მათი მოშლის შედეგები)

6. მეხსიერების დარღვევა თავის ტვინის ლოკალური დაზიანების დროს (ხანმოკლე და ხანგრძლივი მეხსიერების, მოდალურ-სპეციფიკური და მოდალურ-არასპეციფიკური დარღვევები, ამნეზიის ტიპები და შესაბამისი თავის ტვინის სისტემები)

7. ექსპრესიული მეტყველების დარღვევები თავის ტვინის ლოკალური დაზიანების დროს (მოტორული აფაზიის ფორმები, პირველადი სიმპტომი, ენისა და მეტყველების რომელი კომპონენტი ირღვევა, სინდრომი, თავის ტვინის შესაბამისი სისტემები)

8. იმპრესიული მეტყველების დარღვევები თავის ტვინის ლიკლაური დაზიანების დროს ((სენსორული აფაზიის ფორმები, პირველადი სიმპტომი, ენისა და მეტყველების რომელი კომპონენტი ირღვევა, სინდრომი, თავის ტვინის შესაბამისი სისტემები)

9. ნებითი მოტორული მოქმედების დარღვევა თავის ტვინის ლოკლაური დაზიანების დროს. აპრაქსიები (აპრაქსიის კლასიფიკაცია ხომსაკიას და ლიპმანის მიხედვით, აპრაქსიის ფორმები, პირველადი სიმპტომები, სინდრომი და თავის ტვინის შესაბამისი სისტემები)

10. თავის ტვინის მარჯვენა და მარცხენა ჰემისფეროს დაზიანების ნეიროფსიქოლოგიური სიმპტომები

11. მიზანშეწონილი ქცევის სტრუქტურა და მისი დარღვევა თავის ტვინის ლოკალური დაზიანების დროს (მოტივაციის, ქცევის გეგმის, პროგრამის დარღვევის სიმპტომები და თავის ტვინის შესაბამისი სისტემები)

12. კეფის წილების დაზიანების ნეიროფსიქოლოგიური სინდრომები (სინდრომები, მათი გამოვლინებები, საფუძვლად მდებარე ფაქტორი და პირველადი სიმპტომი)

13. საფეთქლის წილების დაზიანების ნეიროფსიქოლოგიური სინდრომები (სინდრომები, მათი გამოვლინებები, საფუძვლად მდებარე ფაქტორი და პირველადი სიმპტომი)

14. შუბლის კონვექსიტალური ქერქის დაზიანების ნეიროფსიქოლოგიური სიმპტომები (გამოვლინება, საფუძვლად მდებარე ფაქტორი და პირველადი სიმპტომი)

15. შუბლის მედიობაზალური ქერქის დაზიანების ნეიროფსიქოლოგიური სიმპტომები (გამოვლინება, საფუძვლად მდებარე ფაქტორი და პირველადი სიმპტომი)

16. თავის ტვინის დიენცეფალური სტრუქტურების დაზიანების ნეიროფსიქოლოგიური სინდრომები (სინდრომების აღწერა, საფუძვლად მდებარე ფაქტორები და პირველადი სიმპტომი)

17. თავის ტვინის ლიმბური სისტემის დაზიანების ნეიროფსიქოლოგიური სინდრომები (სინდრომების აღწერა, საფუძვლად მდებარე ფაქტორები და პირველადი სიმპტომები)

18. კორძიანი სხეულის დაზიანების ნეიროფსიქოლოგიური სინდრომები (კომისურის წინა, შუა და უკანა ნაწილის გადაჭრის ნეიროფსიქოლოგიური სიმპტომები)

19. თხემის წილების დაზიანების ნეიროფისიქოლოგიური სინდრომები (სინდრომების აღწერა, საფუძვლად მდებარე ფაქტორები და პირველადი სიმპტომები)

20. ფსიქიკური განვითარების დარღვევების კლასიფიკაცია ვ. ლებედინსკის მიხედვით (დარღვევის ტიპები, მათი ფსიქოლოგიური სტრუქტურა)

21. დიზონტოგენეზის განმსაზღვრელი ფაქტორები და პარამეტრები ვ. ლებედინსკის მიხედვით (ფაქტორების კლასიფიკაცია, პარამეტების აღწერა და მოშლის კანონზომიერება)

ლიტერატურა:

1. Е.Д. Хомская Нейропсихология 2006
2. В.В. Лебединский Нарушения психического развития в детском возрасте 2006
3. თ. გაგოშიძე ბავშვის ფსიქიკური განვითარების დარღვევები. 2000
4. თ. გაგოშიძე ნეიროფსიქოლოგიური ცნობარი. 2000

22. ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომი (განმარტება, დიაგნოსტიკური კრიტერიუმები, პრობლემები ფსიქიკური სფეროების მიხედვით, ამხსნელი თეორიები)

23. აუტიზმი (განმარტება, დიაგნოსტიკური კრიტერიუმები, პრობლემები ფსიქიკური სფეროების მიხედვით, ამხსნელი თეორიები)

24. გონებრივი ჩამორჩენა (განმარტება, დიაგნოსტიკური კრიტერიუმები, პრობლემები ფსიქიკური სფეროების მიხედვით, ამხსნელი თეორიები)

25. დისლექსია (განმარტება, კლასიფიკაცია, დიაგნოსტიკური კრიტერიუმები, პრობლემები ფსიქიკური სფეროების მიხედვით, ამხსნელი თეორიები)

26. დასწავლის უნარის დაქვეითება (განმარტება, დიაგნოსტიკური კრიტერიუმები, პრობლემები ფსიქიკური სფეროების მიხედვით, ამხსნელი თეორიები)

27. მეტყველების განვითარების სპეციფიკური დარღვევები (განმარტება, დიაგნოსტიკური კრიტერიუმები, პრობლემები ფსიქიკური სფეროების მიხედვით

28. მხედველობითი აგნოზიები (სინდრომების კლასიფიკაცია და აღწერა, პირველადი სიმპტომები და თავის ტვინის შესაბამისი სისტემები)

29. ტაქტილური და სმენითი აგნოზიები (სინდრომების კლასიფიკაცია და აღწერა, პირველადი სიმპტომები და თავის ტვინის შესაბამისი სისტემები)

30. გენეტიკური მდგომარეობები: დაუნის სინდრომი და ფენილკეტონურია (გამომწვევი მიზეზები, ფიზიკური, სამედიცინო და ფსიქოლოგიური ნიშნები).

ლიტერატურა:


1. Е.Д. Хомская Нейропсихология 2006
2. В.В. Лебединский Нарушения психического развития в детском возрасте 2006
3. თ. გაგოშიძე ბავშვის ფსიქიკური განვითარების დარღვევები. 2000
4. თ. გაგოშიძე ნეიროფსიქოლოგიური ცნობარი. 2000


საკონტაქტო ინფორმაცია:


თამარ გაგოშიძე 599 93 27 13